№ 245

ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 245

ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 28 ნოემბერს.**

დღეს, 26 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ სიონის ტაძარში

## კნ. ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანის

სულის მოსახსენებლად განსვენებულის **დროებით-ვალდებულ ქსნის ხეობის გლეხების მიერ** გარდახდილი იქმნება პანაშვიდი. სთხოვენ განსვენებულის ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ და დაესწრნენ პანაშვიდს. (1—210—1)

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ტელეფონი № 227.**

სატელეგრაფო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს,

**ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა**

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**I**

## ჩემს ცოლს ვეყრები

კომედ. 3 მოქმედ.. გადმოქართ. ვ. აბაშიძის-მიერ.

**II**

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

## ხანუმა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

თეატრი საგანგებოდ იქნება გამთბარი.

რეჟისორი კ. მესხი

გამგეობა ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა ამითი აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **პირველ დეკემბრიდგან** ვაგონებს ტფილისის ცხენის რკინის გზისას შეაჩერებენ მხოლოდ იმ ადგილას, რომელიც მოწონებულია ქალაქის გამგეობისაგან და აღნიშნულია ბოძებით. ამ ბოძებს აწერია:

**О. Т. Ж. Д.**

მხედველობაში გვაქვს-რა, რომ ვიდრე საზოგადოება შეეჩვევა ამ ახალ წესს, რაოდენიმე დრო მოუნდება, ყოველისავე გაუგებრობის ასაცილებლად, გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ვაგონები მოგზაურების მისაღებად უწინდებურად ჩერდებოდეს. (3—108—2)

კვირას, 30 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ დანიშნულია **საგანგებო კრება** ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, ფრეილინის ქუჩაზედ.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ მოწვევის ბარათები. (3—6.—1)

## ახალი ამბავი

—

*** რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოებას განზრახვა აქვს, თურმე სამეტეოროლოგიო სადგური დააარსოს იალბუზზედ, 14,000 ფუტის სიმაღლეზედ. სადგური სიმაღლით მთელს დედამიწის ზურგზედ მეორე ადგილს დაიჭერს, რადგან ალპიის მთების მონბლანის მწვერვალზედ აგებულს სადგურს, რომელიც 14,700 ფუტ. სიმაღლეზეა პირველი ადგილი უჭირავს.

*** ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი ხოსროევის მაგიერ, რომელსაც სამსახურის ვადა შეუსრულდა, გამგეობამ 15 დეკემბრისათვის დანიშნა.

*** ამ ჟამად კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებაში, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გზათა და სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტებში კავკასიის სტიპენდიანტთა რიცხვი გამრავლებულ იქმნას.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგე შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რომ სახელმწიფო ტყეებიდგან გასატან მასალაზედ არსებული გარდასახადი გადიდებულ იქმნასო.

*** შაბათს, 22 ნოემბერს, კრება ჰქონდათ ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეთა შემნახველ-გამსესხებელ კასსის წევრთ. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წლიური ანგარიში გამგეობის მოქმედებისა, დაადგინა გადაახდევინოს 3% კასსიდგან ფულის მსესხებელთ, დაამტკიცა მომავალის წლის ხარჯი და ბოლოს დაადგინა, წევრთ რა თანხა შეუძლიანთ გაიტანონ კასსიდგან. კასსის მოხელეების არჩევანი გადადებულ იქმნა თებერვლამდის. ამავე კრებაზედ ზოგიერთმა წევრმა ლაპარაკი აღძრა საზოგადო სავაჭრო დუქნის დაარსების შესახებ. ამ საგნის შემუშავება განსაკუთრებულ კომისიას მიენდო, რომლის წევრებადაც არჩეულ იქმნენ ბ-ნნი როხლინი, ჯაბადარი, ფურცელაძე, ქანანოვი, მეგრინოვი და კანცერმახერი.

*** გამოვიდა და ისყიდება იმედაშვილის და ჰელიძის ამხანაგობის მიერ გამოცემული იოსებ ტფილელის თხზულება: „დიდ-მოურავიანი ანუ გიორგი სააკაძის ცხოვრება“, ისტორიული პოემა. წიგნს თავში იოსებ ტფილელის მოკლე ბიოგრაფია აქვს დართული. წიგნი შეიცავს 86 გვერდს და ღირს ექვსი შაური.

*** ზოგიერთის გაზეთების სიტყვით, განზრახვა აქვთ თურმე ნოტარიუსთა თანამდებობის მაგიერ განსაკუთრებული მოხელეები იქმნან დანიშნულნი.

*** გაზ. „კავკაზს“ სწერენ გორის მაზრიდგან, რომ ციხის ჯვარის ფერმაში, რომელიც ბორჯომის მამულების გამგეობას ეკუთვნის, საქონელს ციმბირის ჭირი გასჩენიაო.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ ბორჩალოს მაზრიდგან, რომ სოფ. კაჩულოში ეკატერინენფელდის ბოქაულმა თავადმა თაქთაქიშვილმა შეიპყრო ციმბირიდგან გამოქცეული ყაზახის მაზრის, სოფ. სართველის მცხოვრებელი ოსმან ხაჯი-გაზ-ოღლი, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებით ციმბირში იქმნა გაგზავნილიო.

*** ქ. ქუთაისი. ამ დღეებში აქ შემდეგი უბედურება დატრიალდა. ფერმის ქუჩაზედ მისეირნობდნენ ახალგაზდა აფიცერი დ. და ერთი ქალი, რომელთაც ქუჩა გაიარეს და იქვე ტყეში შეუხვიეს. აქ აფიცერმა ნიშანი დასდო და მისცა ქალს რევოლვერი სასროლად. ქალმა გაისროლა თუ არა, ვიღაცის მწარე კივილი გაისმა. აღმოჩნდა, რომ იქვე რამდენიმე გლეხი მოდიოდა თურმე და ერთ მათგანს მოხვედრია ტყვია. ტყვია უბედურს შიგ ზურგში მოხვედროდა. დაჭრილი გლეხი ქუთაისის მაზრის, სოფ. გუმათის მცხოვრებელი ბესარიონ დანგაძე აღმოჩნდა.

*** ბათუმი. აქ ხმა გავრცელდა, რომ ჭაბუკის ჩილინგიაროვის გამომძიებელმა ბრალი დასდო ბეიკურდიანს, რომელმაც ოგ. მელავორიანსა და გრ. არაქელიანცს უთხრა გამომძიებლის თანადასწრებით: „რა მიყავით, რად დამღუპეთო“.

ამბობენ აგრეთვე, რომ ბეიკურდიანი წააქეზა, ასეთი ჩვენება მიეცა, ვიღაცა მოხუცმა კილირჩიანმა, რომელიც ამ ჟამად ციხეშია და რომელსაც ჯავრი სჭირს არაქელიანცისა და განზრახ უნდოდა ჩაება ამ საქმეში. მაგრამ ასე ამბობენ კი, რომ ეს ხმები ტყუილიაო. ეჭვი არ არის, რომ თვით კილირჩიანსაც უნდა სშინებოდა ასეთის წაქეზებისა და უნდა სცოდნოდა, რომ ამისათვის პასუხს აგებს, თუ ვინიცობაა მისის წყალობით ბრალი დაედებოდა უდანაშაულო კაცს—არაქელიანცს. საქმე ის გახლავთ, თურმე, რომ, როგორც ამბობენ, წერილებიც უპოვნიათ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არაქელიანცს მკვლელობაში დანაშაული მიუძღვისო. რამდენად საფუძვლიანია ყოველივე ეს, ამას გამოძიება დაამტკიცებს.

## ქალაქის საბჭო.

24 ნოემბერი

კრება დაიწყო $8^{1}/_{2}$ საათზედ. ვიდრე მორიგის საქმეების განხილვას შეუდგებოდა, საბჭომ მოისმინა გამგეობის აზრი პურის ნიხრის და ღორის ხორცის ნიხრის დაწესების შესახებ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, საბჭომ წარსულს კრებაზედ მოისმინა გამგეობის მოხსენება პურის ნიხრის შესახებ, მაგრამ რადგანაც გამგეობას ყველა საჭირო ცნობები ამ საგნის შესახებ არა ჰქონდა მოკრებილი, საბჭომ დაავალა ხელ-ახლად გამოეცხობინებინა პური და გამოეკვლია, რა ჯდება თითო გირვანქა სხვა-და-სხვა ხარისხის პური.

გამგეობამ გამოაცხობინა პური და იმ დასკვნას დაადგა, რომ უნდა დაწესდეს ნიხრი პირველ ხარისხის პურზედ $4^{1}/_{2}$ კ., მეორეზედ—$3^{1}/_{2}$ კ. და მესამეზედ 3 კ. ამ საგანმა ცოტაოდენი კამათი გამოიწვია.

**ხმ. ზაზოვი.** ჩემის აზრით მეორე ხარისხის პურის ნიხრი 4 კაპ. უნდა დავაწესოთ, ხოლო მესამის—ის, რაც წინად იყო ე. ი. $2^{1}/_{2}$ კ. თვით ის მეპურე, ვისთანაც ქალაქის გამგეობამ პური გამოაცხობინა, პირველი ხარ. პურს 4 კაპ. ჰყიდდა; თუ ზარალში ყოფილიყო, რასაკვირველია, ამ ფასად არ გაჰყიდდა.

**ხმ. ა. ბ. ეგანჯულოვი.** თუმცა ქალაქის გამგეობამ მეორედ გამოაცხობინა პური, მაგრამ მაინც რაც საჭირო იყო, ის ვერ გამოარკვია და ვერ გაიგო. იმ მესამე ხარისხის პურისა, რომელიც გამგეობამ გამოაცხობინა, და იმის შორის, რომელსაც მეპურეები აცხობენ ხოლმე, ძალიან დიდი განსხვავებაა. მე ქალაქის სხვა მეპურეს გამოვართვი პური და აქ მოვიტანე. რომ შევადაროთ ეს პური გამგეობის განკარგულებით გამომცხვარ პურთან, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ეს უკანასკნელი ძალიან ბევრითა სჯობიან პირველს. ამიტომ, ჩემის აზრით, მესამე ხარისხის პურს ფასი არ უნდა მოუმატოთ, ხოლო თუ მოუმატებთ, დავაკისროთ მეპურეებს, ისეთი პური გამოაცხონ ხოლმე, როგორიც ქალაქის გამგეობამ გამოაცხობინა. მაინც და მაინც თუ არ დაგიშლიათ, $^{1}/_{4}$ ან $^{1}/_{8}$ კ. მოუმატოთ.

**ხმ. ქალანთარი.** ვიდრე მეპურეები ისეთის პურის ცხობას არ დაიწყებენ, როგორც გამგეობამ გამოაცხობინა, ჩემის აზრით, ნიხრს არ უნდა მოვუმატოთ.

**ხმ. ხუდადოვი.** გამგეობამ და აღმასრულებელმა კომისიამ მარტო იმ ცნობებით იხელმძღვანელეს, რომელიც გოლიცინსკიმ მიაწოდა და ეს კი საკმარისი არ იყო. საჭირო იყო სხვა მეპურეებისაგანაც შეკრებილიყო ცნობები. რაც შეეხება ნიხრს, პირველი ხარისხის პურს უნდა დავაკლოთ და 4 კაპ. გავხადოთ, მეორე ისევ ისე უნდა დარჩეს, ე. ი. $3^{1}/_{2}$ კაპ., მესამეს მაშინ უნდა მოვუმატოთ, როდესაც მეპურეები, ქვისა და ტალახის მაგვარ პურის მაგიერ, კარგს პურს გამოაცხობენ.

**ხმ. თაიროვი.** გამგეობას კარგადა

აქვს ყველაფერი გამორკვეული და გამოანგარიშებული, ამიტომ საბჭომ გამგეობის მოხსენება რომ დაამტკიცოს, უმჯობესი იქნება.

ხმ. შახ-აზიზოვ-გამსარაგანი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავათავოთ ამ პურის ნიხრის საქმე. საჭიროა ქალაქმა საკუთარი ფურნე გაიჩინოს და იქ აცხობინოს ხოლმე პური. ჩემის აზრით, ურიგო არ იქნება კომისია ავირჩიოთ და იმას მივანდოთ ამ საქმის შემუშავება-გამორკვევა.

ხმ. ქვანგულოვი. წინა კრებაზედ გამგეობამ გამოაცხადა, რომ მეპურეებმა თხოვნა შემოიტანეს ნიხრის მომატების შესახებაო. ეს თხოვნები გამგეობას არც-კი გამოუკვლევია, მართლა მეპურეებისაგან არის ხელ-მოწერილი, თუ სხვა ვინმესაგან. საჭირო იყო, ამისათვის ყურადღება მიექცია.

ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით შემდეგი ნიხრი დაადგინა. ფურნისა პირველი ხარ.—4 კაპ., მეორე $3\frac{1}{2}$, მესამე—3 კაპ., თორნისა: პირვ.—$4\frac{1}{2}$ კაპ., მეორე—4 კაპ., მეს.—3 კაპ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ღორის ხორცის ნიხრის შესახებ. გამგეობის აზრით, ღორის ხორცს ნიხრი შაური უნდა დაედოს.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე გამგეობის მოხსენება კუკიის სატყეო აგარაკის სადარაჯოს შენობის შესაკეთებლად 225 მან. გადადების შესახებ.

ბოლოს საბჭომ კენჭის ყრით აირჩია: ხმ. სულხანიშვილი იმ აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც ქალაქის ცხენის რკინის გზების თვალ-ყურის დევნება აქვს მინდობილი; ხმ. ხუდადოვი—თავმჯდომარედ იმ კომისიისა, რომელსაც ტყეები და ბაღები აქვს ჩაბარებული; გამსესხებელი კასსების რევიზორებად: ბ-ნნი შახ-აზიზოვი და ლისიციანი; ქალაქის ლომბარდის რევიზორებად: ბ-ნნი ცურინოვი და ალიბეგოვი და სასკოლო კომისიის და კომიტეტის წევრებად: ნ. ნ. ოსტროგორსკი, მ. ნ. თამამშევი, კ. მ. ალიხანოვი, ნ. ი. კარაპეტოვი, კოლუბანსკი, მელიქ-ბეგლიაროვი, შესტაკოვი, ავთანდილოვი და მღებროვი.

კრება 12 საათზედ დაიშალა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. შილოვანი**, (შორაპნის მაზრა). ს. შილოვანი მდებარეობს შიათურიდგან სამხრეთით ნახევარის საათის სასიარულო მანძილზედ. წელს საზოგადოდ აქ შირნახულის მოსავალი გვარიანია, მხოლოდ ღვინის მოსავალმა ცოტა არ იყოს გვიღალატა. ენკენისთვემ მშვენივრად გაიარა, მაგრამ ღვინობისთვემ-კი დაგვამწარა ყველაფერი: ეს ორი კვირაა, რაც მოიხსნა ცამ პირი და კოკა-პირულად სწვიმს. ამ ბოლოს თოვლიც გამოურია, რის გამოც აქაურები სწორედ რომ დიდს გაჭირვებაში არიან, რადგანაც ბევრს არა აქვს გათავებული პურის თესვა.

ს. შილოვანში არსებობს ერთ-კლასიანი სამრევლო საეკლესიო სკოლა 1891 წლიდგან, რომელიც დაარსებულია ადგილობრივის მღვდლის მამა გიორგი ტუმალაძის მიერ. სწორედ დიდის მადლობის ღირსია მ. გიორგი ტუმალაძე ამ კეთილის საქმის გამღოლისათვის. ს. შილოვანი ეკუთვნის პერევისის საზოგადოებას; ამავე საზოგადოებას ეკუთვნიან ს. შილოვანის მეზობელი სოფლები: წინსოფელი, სვინდორი და მორძგვეთი. პერევისის საზოგადოებას აქვს სამინისტრო სკოლა, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ პერევისელები; დანარჩენ სოფლების ახალგაზრდობა-კი დარჩენილნი იყვნენ სიშორისა გამო უსკოლოდ. სწორედ ამ გარემე სოფლებს სულ ზედ მოუსწრო მ. გ. ტუმალაძისაგან დაარსებულმა სკოლამ, რომელმაც, როგორც ყვავილმა ფუტკარი, ისე მიიზიდა ამ სოფლების ახალ-თაობა. მ. გ. ტუმალაძევე ინახავს თავისთან თავის ხარჯით ამა სკოლის მასწავლებელს, ამასთანავე არ იშურებს ნივთიერ დახმარებასაც.

ხალხი თუმცა სკოლას თანაუგრძნობს, მაგრამ ქონებრივი შეუძლებლობა დიდად უშლით ხელს, რის გამოც სკოლა ჯერ-ჯერობით დიდს სიღარიბეს ითმენს. ან კი რა ჰქმნან საწყლებმა: საზოგადოების სკოლის შესანახავად ცოტა არ ეხარჯებათ და სხვას როგორ-და უნდა გაუძლვნენ. არა ერთხელ და ორჯელ ჰქონიათ ამ სოფლების მცხოვრებთ მოლაპარაკება, რომ თუ საზოგადოების სკოლის ხარჯიდგან განგვათავისუფლებენ, რადგანაც იმ სკოლით არც გვისარგებლია და ვერც ვისარგებლებთ სიშორის გამო, ოთხივე სოფელი ამ სკოლას მივეწერებით და ამის ყოველ ნაირს მოთხოვნილებას ვიკისრებთო, მაგრამ ვინ შეისმენს იმათ ამ გვარ თხოვნა-ვედრებას?..

ს. შილოვანი მდებარეობს შიათურიდგან ნახევარის საათის სასიარულო მანძილზედ, მაგრამ, თუ ვისმეს მოუსურვება შიათურიდგან შილოვანში ამოსვლა, უეჭველად, ნახევარის საათის მაგიერ, სამ—ოთხ საათამდე უნდება და ისიც, ვინ იცის მშვიდობით ამოვა თუ არა. ამისი მიზეზი გზების უვარგისობაა. თითონ სოფელშიაც-კი იმისთანა ხრამები შეგხვდებათ გზის მაგიერ, რომ თუ გადაგიცდათ ფეხი ან თქვენ და ან თქვენს ცხენს, მშვიდობით მაშინ ცოლო და შვილო ამიერიდგან უკუნისამდე. მერე-და ადგილობრივნი მცხოვრებნი რატომ არ აკეთებენ თავისის სოფლის გზებსაო,—იკითხავთ. იმიტომ, რომ სხვა სოფლის გზების კეთებას უნდებიან და თავისთვის ვეღარ იცლიან. აი, რა მითხრა ერთმა აქაურმა გლეხმა: ბევრჯელ მივმართეთ შიათურის ბოქაულს თუ თხოვნით, თუ პირადად, სხვაგან ნუ გაგვგზავნით, ჩვენის გზებისათვის მოგვაცალეთ, მაგრამ ჩვენი ხვეწნა ვედრება არ შეისმინაო.

მართლაც, საკვირველია, რისთვის იწვევენ საწყალ შილოვნელებს სხვა სოფლების გზების გასაკეთებლად, როდესაც თავისი გაუკეთებელი რჩებათ?!.

ვლადო კორბოულელ—სანაძიხელი

## წერილი რაჭიდგან

12 ნოემბერი.

სწავლა-განათლების და მწიგნობრობის მხრივ რაჭა საქართველოს ბევრს სხვა კუთხეზე დაბლა სდგას, რაჭის მაზრაში არსებობს მხოლოდ ცამეტი პირველ-დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი (ამათ რიცხვში დ. ონის ორ-კლასიანი სასწავლებელიც), რომლებშიაც 544 ქალ-ვაჟი სწავლობს, და ექვსიც საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი, რომელთა მოსწავლეების რიცხვი 211 უდრის; სულ 19 სასწავლებელია, სადაც 755 მოზარდი თაობა იძენს ცოდნას. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ რაჭის მკვიდრთა რიცხვი 80 ათასს აღემატება, ყველასათვის თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ ეს რაოდენობა სასწავლებლებისა და მოსწავლეთა ერთობ მცირეა. მთელის რაჭის მცხოვრებთ მოსდით: „ივერია“ — 4 ცალი, „ცნობის ფურცელი“—5, „კვალი“—6, „მოამბე“ — 3, „ჯეჯილი“ 2, „კავკასი“—8, „ნოვოე ობოზრენიე“ — 5, „ტფილ. ფურ.“—1, „დუხ. ვეს. გრ. ეგზარხატა“—3, რუსეთის გაზეთები 41 ცალი და სომხურიც 3. სულ 81 ცალი სხვა-და-სხვა გაზეთისა, ე. ი. ათას კაცზედ მეტს ერთი გაზეთი მოსდის.

ლ. ლევანიძე

## წერილი ზესტაფონიდგან

18 ნოემბერი

„წყეული იყავ სისაწყლევ,
სულ ამოვარდი ძირითა:
ჩვენთვის გაძვირდა ნუგეში,
სიმღერის ნაცვლად, ვტირითა:“

ნათქვამია, საწყალს კაცს ქვა ღმართში მოეწიაო, სწორედ ასე გვემართება ამ დაბა ყვირილის საბოქაულო გლეხობას! ჯერ ისეც გაჭირვებულნი ვიყავით სხვა-და-სხვა საბეგრო მოთხოვნილებისაგან და აგერ, სამი ოთხი წელიწადი იქმნება, ლამის ჩვენ შინაურ საოჯახო საქმეზედ ხელი აგვაღებინონ... რკინის გზის ლიანდაგი, სადგურ სვირისა და მოლითს შუა, თვით დ. ყვირილაში არსებული ფოსტა, ხაზინა, სასამართლო და მაზრის სამმართველო, ჩვენ ერთ მუჭა გლეხებს გაგვიხადეს სადარაჯოთ და ვართ ტანჯვა-წვალებაში. რაღა ეს გვინდოდა, როდესაც ისეც გაჭირვებულნი ვართ სხვა-და-სხვა მოთხოვნილებისა და საერთოდ სიღარიბისაგან. მაგრამ რა ვქნათ, პატრონი არავინა გვყავს, ისევ ჩვენ ბედს შევჩივით, მეტადრე ფოსტის დარაჯობის დროს, რადგანაც მის ზედამხედველის განკარგულებით, არამც თუ შიგნით ფოსტაში, არამედ გარეთ იმის ბაქანზედაც, არ გვაძლევენ დადგომის ნებას. ჯერ შიმშილი გვაწუხებს, რადგანაც სოფლიდგან ჩამოვდივართ და თითო კვირაობით ვდარაჯობთ, მერე სიცივე, ყინვა, წვიმა, თუ თოვლი.

ასე გასინჯეთ, ჩვენდა სამწუხაროდ ამდენი ხანი გადის და ერთი ღვთის მოყვარე კაცი არ გამოგვიჩნდა, რომ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა აცნობოს უმაღლესს მთავრობას, რომელიც უეჭველია ყურადღებას მოგვაქცევდა, მით უფრო, რომ სათითაოდ, ყოველს სადარაჯო დაწესებულებას იმდენი შემოსავალი აქვს ისევ ჩვენგან, რომ შეუძლიანთ თავიანთის ფულით საკუთარი დარაჯები დაიყენონ და ამით საწყალი გლეხ-კაცობა გადაგვარჩინონ სხვა ათასგვარ ტანჯვასთან ამ სულთამხუთავ ტანჯვასაც. იმედია, ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღებას მიაქცევს მთავრობა და დაგვიხსნის ისეც ქონებრივად დაცემულ ხალხს ამ მოვალეობისაგან.

ა. მკაში ნაქები

## წერილი რიონ-[illegible] კუთხიდგან.

ქ. ქუთაისიდგან მდ. რიონის მარცხენა ნაპირას დ. ბაღდადიდგან დაწყებული სამტრედიამდე მდებარე სოფლები შეადგენენ რიონ-გაღმის კუთხეს; ეს კუთხე შესდგება ათი-თორმეტის საზოგადოებისაგან და თითოეულ საზოგადოებაში ირიცხება 1,000 კომლამდე მცხოვრებელი. ეს საზოგადოებანი ეკუთნის ბაღდადის და სამტრედიის საბოქაულოს. ბუნებას თავისი კალთა სიმდიდრისა აქ დაუბერტყია: საღი ჰაერი, ანკარა ცივ-ცივი წყაროები, ხშირ-ხშირი ვენახიანი ხეები ამ კუთხეს კარგ საზაფხულო აგარაკადა ჰხდის; ამასთან კარგი მდებარეობაც აქვს, ერთის მხრივ გაჭიმულია ვებერთელა თვალ-უწვდენელი ჭალა და შუაზედ გველივით მიიკლაკნება მდ. რიონი; მეორეს მხრივ ბაღდადიდგან მომავალი ორპირის გზა, რომელსაც მარცხნივ კიდევ ჭალა უძევს და შემდეგ იწყება ტყით შემოსილი მაღალი სერები, სადაც გაშენებულ სოფლებიდგან გადმოიყურება ხის სახლები და თეთრი ქვითკირის უგუმბათო ეკკლესიები.

მოსავალი, როგორც საზოგადოდ სხვაგან, თუმცა აქეთაც მოკლებულია ამ უკანასკნელს წლებში, მაგრამ შედარებით სხვა კუთხეებთან აქ უფრო მეტი მოდის სიმინდი და ღვინო; აქაურ საყანე ჭალების ნიადაგი შავის ფხვნილის მიწისაა და მეტად ნაყოფიერია; თუ კარგად არის დამუშავებული, თამამად მოდის 50,60 ფუთი სიმინდი, ამისათვის აქაური ჭალები ამ სამი-ოთხის წლის წინად იყიდებოდა ქცევა 200 და 250 მანეთად; დღეს-კი, როდესაც სიმინდის ფასმა დაიწია, ჰფასობს ქცევა 150 და 120 მანეთად. ხშირად ჰნახავდით და ჰნახავთ ისეთს გლეხს, რომ წელიწადში 200 ან 300 ფუთს სიმინდს ჰყიდის; სიმინდი უმეტეს ნაწილად მიდის გასასყიდად დ. სამტრედიაში, საიდგანაც შემდეგ ფოთში იგზავნება. ღვინო აქეთ ბლომად მოდიოდა და ისეთი მაგარი დგებოდა, რომ ლხინის დროს, როდესაც ჰქქით შეასხამდნენ

# ფელეტონი

**ძველი და ახალი ამბები.**

ამ ორის წლის წინად ახლად დაწყებული წერილები უცებ შევსწყვიტე. შემეშინდა: რა საგანსაც-კი წავავლე ხელი, საიმედო, გამამხნევებელი ვერა ვნახე-რა. აწმყო წამხდარია და ნისლით დაბურულია მომავალი; მოდი და გული ნუ მოგიკვდება! ხმა გავკმინდე და ჩუმად დავუგდე ყური ჩემის ქვეყნის ცხოვრებას, მის ძარღვის ცემას.

მას აქეთ თითქმის ორი წელიწადია. მართალია, ერის ცხოვრებაში ორი წელიწადი რა უნდა იყოს! ერის ცხოვრების საზომი საუკუნოებია. საქმე გარემოებაა. ზოგჯერ დროების მოკლე მანძილზეც დავინახავთ ხოლმე, ქვეყანას სიკეთისაკენ მიუბრუნებია პირი, თუ ბოროტისაკენ,—და დავინახეთ კიდეც ჩვენი სისუსტე და დამცირება: თითქო ყოველი შემოქმედობის ძალა დაგვეხშობია, დაგვკარგვია. ჯერ ერთი, რომ შვიდი-რვა წლის განმავალობაში მრთელი მოწინავე რაზმი ჩვენის საზოგადოებისა ერთსა და იმავე საგანს გარს უტრიალებდა; მას ანდომებდა თავისს დროს, გონების ძალას, გამჭრიახობას; მასზე ჰფიქრობდა, მისთვის იბრძოდა, ჰშფოთავდა, მითი ჰზომავდა ყოველ გვარ ცხოვრების მოვლენას. ერთის სიტყვით, ჯერ ქუთაისში და მერე ტფილისში ბანკების თაობაზე ატეხილმა ბრძოლამ არა თუ მარტო განხეთქილება შემოიტანა, არამედ დააქვეითა ჩვენი საზოგადოება; თითქმის სურვილი მოუსპო სხვა რასმეზე ეფიქრნა, სხვა რასმეზე ეზრუნა. ნეტავი მაინც საფიქრებელი და საზრუნველი არ გვქონდეს! წლევანდელმა ქალაქის არჩევნებმა აშკარად დაგვანახვა, რა მერმისი მოელის ქართველობას, თუ თავისს საერო საქმეს ერთგულად ხელი არ მოჰკიდა, არ გაუძღვა.

თავი და თავი საზრუნველი და საფიქრებელი ის არის, რომ ქართველობას ნიადაგი ნელ-ნელა ფეხიდგან უსხლტება. არ ვიცი წარსულ გაზაფხულს მოხდენილ მკვიდრთა აღრიცხვამ რა აღმოაჩინა, მხოლოდ აქა-იქ გაბნეული ცნობები გვიმტკიცებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ტფილისის გუბერნიაში, ას სულზე, დიდი საქმეა, სამოცი ქართველი მოვიდეს, დანარჩენები-კი სულ სხვა ტომისანი არიან და მათი რიცხვი ჰმატულობს. გარდა ამისა, თითქმის ყველა ისინი ქონებითაც წარჩინებულნი არიან ჩვენზე, და სადაც ქონებაა, იქ გონების მოძრაობასაც კარი ღია აქვს, წინ მიისწრაფვის. სხვას თუნდ ჯერ თავი დავანებოთ, აიღეთ, მაგალითად, ქართლელი გლეხი: ჩამოგლეჯილი, ჩამოფლეთილი, კისერში ჩაკრული, გონებით დაძინებული, იმედ-დაკარგული, ოჯახში ღარიბი, ღატაკი. საბრალოს ისე რიგად მიუცია თავი სასოწარკვეთილებისათვის, თითქო არაფერი არ ახარებდეს, არავითარი იმედი გულში არ ულვივოდეს; ოღონდ დღევანდელი დღე გაათრიოს როგორმე და „ხვალისათვის“ ფიქრისათვის თავი აღარა აქვს. მეორეს მხრით დაუკვირდით ამ საბრალო ადამიანის მეზობლებს: ნემეცებს, ბერძნებს, სომხებს, მუდამ ფხიზლებს, მოძრავებს, დაუღალავ მშრომლებს, ამასთანავე ხელმოჭერილებს და მერმისისათვის მზრუნველთ. მოდი და გაუწიე უღელი. აშკარაა, ვის უნდა დარჩეს ბურთი და მოედანი ეკონომიურ ბრძოლაში, თუ საქმე ამაზე შედგა. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ბევრ ქართველ სოფლებში, როგორც ზოგნი ამბობენ, მკვიდრთა რიცხვი, ჩვენდა სამწუხაროდ, თურმე კლებულობს. ბორჩალოში უწინ ბევრი ქართველი სოფლები ყოფილა. ახლა სადღაა? ძველი ქართველი ეკკლესიები ზოგი დანგრეულა და ზოგს სხვები დაჰპატრონებიან. თვით ტფილისის მაზრაში ნახევარიც არ იქნება ქართველიო, ამბობენ. თუ მართლა ასეა, რამე ღონე უნდა ვიღონოთ. მე მგონია, ერობის შემოღება ტფილისის გუბერნიაში ერთი იმისთანა საშუალებაა, რომელიც ცოტად თუ ბევრად გვიშველის. ერობას ექვემდებარება მრავალი გვარი საქმე ხალხის ცხოვრებისა, სწავლა-განათლებისა და ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, გზების მოვლა, შემოსავალ-გასავალის ზედამხედველობა და სხვა. ერთის სიტყვით, ხალხის მახლობელი და პირდაპირი პატრონი ერობაა. იმას შეუძლია ქონებითაცა და გონებითაც

ცეცხლში, ალი მოედებოდა და ავარდებოდა მაღლა. აქ შეხვდებოდით უწინ ყველგან „მაღლარს“, თითოეულს ვაზს ნაჯახით ვერ მოსჭრიდით, ისეთი სიმსხო ჰქონდა; ჰხარობდა კარგის გვარის ვაზები „მაური“, „თითა“, „ანდასეული“, რომლისაგანაც შესანიშნავი ღვინოები სდგებოდა. ვენახი ხეზედ გასხვლას და სხვა გვარ ხელის წყობას არაფერს თხოულობდა. ამ უკანასკნელს ხანს ზოგიერთს სოფლებში, როდესაც მაღლარმა იკლო, გააშენეს „დაბლარი“ ვენახებიც „ჩხავერი“, „საფერი“, „ქართული“ და სხვა გვარის ვაზებისა, მაგრამ ამაებსაც ეხლა ფილოქსერა გაუჩნდა და მოსავალმა იკლო; ისევ მთებში იჩინა ხელ-ახლავ თავი მაღლარმა და ჩინებული ღვინოები დგება.

პური ამ სოფლებში ნაკლებად ითესება; უფრო მისდევენ ღომის მოყვანას და ამ ბოლო დროს ბამბასაც მიაქციეს ყურადღება; მაგრამ რადგანაც გრილი ჰაერია, ბამბა ხშირად ვერ ასწრებს გაშლას და თოვლი უსწრებს. ორი წელია, რაც აბრეშუმსაც დიდი ყურადღება მიაქციეს, კიდეც ხეირობს, მაგრამ რადგანაც ბევრი არა მცოდნე კისრულობს თესლის მოტანას და დარიგებას, ხშირად სალი თესლი ვერ მოაქვთ და მცხოვრებლებს ხშირად უქმად გაუვლის შრომა. ხილი ჩვენ კუთხეში ბევრი მოდის: აქეთ შეხვდებით კარგის გვარის წითელ ვაშლებს, მსხალს, ბიას, თხილს, ლეღვს, ბროწეულს, ტყემალს, ქლიავს, ალუჩას და კაკალს; ტყეები სავსეა პანტა-ვაშლითა, ზღმარტლითა, წაბლითა და წვრილის ტყის თხილით; საუცხოვოდ ჰხარობს დაფნა და ბზა. ს. ინაბურსა და დვალიშვილებში არის გოგირდის და რკინის წყლები, სადაც ზაფხულობით დიდძალი ხალხი იკრიბება; მეტად უხდება თვალების ტკივილს და ქარებიანს.

ამგვარად არის ბუნებით დაჯილდოვებული ეს კუთხე და ამოდენა სიმდიდრე აქაურებს ვერ მოუხმარიათ უგზოობისა და უხიდობის გამო; გზები ისეთია, რომ ღმერთმა დაგიფაროთ აქეთ მოგზაურობისაგან... ქვეითკაცს როგორ შეუძლია გავლა, როდესაც ცხენიც მუხლებამდის იფლობა ტალახში; ასეთის ცუდის გზების გამო აქეთ ზამთარში ოც კაცს ვერა ჰნახავთ ეკლესიაში. ეხლა კიდევ, ამ ერთის თვის უამინდობამა და წყალდიდობამ, მთლად გამოგვაცალა ხელიდგან უიმისოდაც წამხდარი გზები, ხიდები წაიღო, მისვლა მოსვლა შესწყდა, ეტლები ეს ერთი თქვეა აღარ გვინახავს სამტრედიაში მიმავალი, მოსწავლეები სასწავლებელში ვეღარ მიდიოდნენ, მღვდელი მრევლს ვეღარ ემსახურება; ერთის სიტყვით ვირჩვებით ტალახში და პატრონი არა გვყავს, რომ ჩვენს გაჭირვებას უწამლოს რამე.

ეს დალოცვილი მამასახლისები ამდენს ხანს თუ მამინაცვლობას უწევდნენ სოფელს, ეხლა ხომ იმასაც აღარ უწევენ, რადგან დღე დღეზედ ჯაჭვის ახდას მოელიან და გზების და ხიდების გაკეთება ფიქრადაც არ მოსდით; ან რად უნდა შეიწუხონ თავი: თითონ თუ დასჭირდებათ, ან თავისი ცხენი ჰყავთ ან და „ოჩრისა“, შებრძანდებიან არხეინად და მიდიან, სადაც უნდათ; ტალახი რას შეაწუხებს“.

უმაღლესი ადმინისტრაცია აქეთ ორ წელიწადში ერთხელ ძლივს მოდის; თუ მოვლენ ახალის მოხელეების არჩევანის დროს, ისიც ივნისში, ან აგვისტოში, როდესაც მდინარეებიცა და გზებიც გამშრალია. წყალდიდობის დროს პატარა მდინარეები ისე გადიდდება ხოლმე, რომ გასვლა შეუძლებელია, თუ შერჩა სადმე ხიდი, ისეთი „ეშმაკის ხიდია“, რომ ხელმოუკიდებლად ვერ გახვალ, ზაფრის ქარები აგიტყდება მეორე ნაპირას გასვლამდე. ამ დროს მდ. რიონშიაც გასაჭირია გასვლა: ხიდი არ არის ზედ და ბორნები ხშირად დაკავდება. ბევრჯელ იყო ლაპარაკი, რომ რიონზედ ხიდი გაკეთებულიყო; მთავრობის დახმარებით ამოდენა საზოგადოებას ადვილადაც შეეძლო გაკეთება, მაგრამ არავინ არის პატრონი, რომ ითავოს ასეთი კეთილი საქმე. განსვენებული მაზრის უფროსი ჩიჯავაძე ჰფიქრობდა ამას, რადგანაც მამული ჰქონდა ამ კუთხეში, იმის შემდეგ-კი არავინ გამოჩნდა. ამ გარემოებათა გამო ჩვენის კუთხის სიმდიდრე ჩვენთვის გამოუსადეგარია. ამოდენა ხილი ისე ჩამოიყრება ხოლმე მიწაზედ, რომ სარგებლობას ვერა ჰნახავს კაცი და ღორების საზრდოდ მიდის.

ექიმი ჩვენში არ იშოვება; გაჭირვების დროს უნდა მივაშუროთ ქუთაისს, მაგრამ ამისთანა გზების პატრონს ექიმი როგორ წამოგვყვება, 30 მანეთიც რომ მივცეთ.

საჭიროა მეტად, რომ ამ კუთხეში დაარსდეს უფასო საავადმყოფო; თითქმის ყოველ მაზრაშია დღეს საავადმყოფო, ექიმი, ბებია-ქალი, ფერშალი, ქუთაისისის მაზრაში-კი ჯერ არსად დაარსებულა. ამისათვის თუ დაარსდა, უსათუოდ ამ კუთხეს უნდა მოხვდეს, ან ს. ვანში, ან ამაღლებაში.

სწავლა-განათლების მხრით ჩვენი კუთხე მეტად დაქვეითებულია; ამდენს სოფლებში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ს. ტობანიერში, ს. ვანში და მუხაყრუაში ერთ-კლასიანი სასწავლებელი; ეს არის და ეს ჩვენი განათლება; ეხლა დაარსდა ამაღლებაში კიდევ მეორე კლასიანი სამრევლო სასწავლებელი. წერა-კითხვის სკოლები-კი აქეთ ბევრგან ჰბჟუტავს, მაგრამ სარგებლობა ვერაფერი მოაქვთ: იქ მასწავლებლობენ სრულიად მოუმზადებელნი ამ საქმისათვის, სასულიერო სასწავლებლის მეორე ან მესამე კლასიდგან გამოსულები.

ზამთარი წელს აქეთ ადრე გვეწვია: პირველ ნოემბერს თოვლმა მიწა დაჰფარა; ხალხი მეტად შეაწუხა ცუდმა ამინდმა, რადგანაც მოუმზადებელნი არიან; ბევრგან ყურძენი კიდევ მოუკრებელია. 12 ამ თვიდგან-კი დადგა კარგი ამინდები, მაგრამ თან ყინვები და სიცივე მოჰყვა.

ვლადო ბზვანელი

## რუსეთი

—

რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას განზრახვა აქვს 1899 წელს მსოფლიო საბაღოსნო გამოფენა გამართოს ქ. პეტერბურგში. ამ საქმის განსახორციელებლად ხაზინას უკვე გადაუდვია 15,000 მან.

— განზრახვა აქვთ 10 იანვარს რკინის გზათა დეპარტამენტთან რკინის გზების გამგეობათა წარმომადგენლების კრება გამართონ. კრებამ უნდა განიხილოს 1898 წ. ზაფხულის მატარებლების მიმოსვლის დროჟამი და რაიმე ცვლილება მოახდინოს.

— მადნის მწარმოებელს ეკატერინოსლავის ვაჭარს მ. ს. კოპილოვს სამთო ინსტიტუტის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ 3,000 მან. შეუწირავს.

— ფინანსთა სამინისტრომ ამ დღეებში განკარგულება მოახდინა, რომ ყველა საფინანსო დაწესებულებამ უნდა მიიღოს ხოლმე დასახურდავებლად ყოველ ნაირი ვერცხლის ფული და ღირებულებაზედ ნაკლები არ მისცეს თუნდა წონაშიაც რომ აკლდეს, თუ ფულს ნათლად ეტყობა გამოხატულება.

— განზრახვა აქვთ ამ ახლო მომავალში სამ მანეთიანი ოქროს ფული გამოსცენ.

— ამ დღეებში ვარშავის ერთს ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს თურმე ყრუ მუნჯმა ნეფე დედოფალმა: მღვდელმა ჯვარის წერის დროს ქადაგებაც წარმოსთქვა მიმიკის შემწეობით, რადგან ეკლესიაში დამსწრეთა მომეტებული ნაწილი ყრუ მუნჯნი იყვნენ.

— ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტმა განიხილა და მოიწონა თურმე ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ ციმბირში, მცხოვრებთა სულზედ გარდასახადის მაგიერ, შემოღებულ იქმნას მამულებზედ გარდასახადიო.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დრეიფუსის საქმე აღარ ასვენებს საფრანგეთის მთავრობას, ჟურნალ-გაზეთებს და საზოგადოებას. ზოგიერთა გაზეთებმა უფრო აღიმაღლეს ხმა და უფრო თამამად დაიწყეს ლაპარაკი, რომ დრეიფუსი მართალია, ტყუილად არის დასჯილი და რომ დამნაშავე და მოღალატე გრაფი ესტერგაზიაო. მართლაცა და ამ ბოლოს დროს საფრანგეთის გაზეთები ისეთს ამბებსა სწერენ დრეიფუსისა და ესტერგაზის შესახებ, რომ კაცი ნება-უნებურად ეჭვში შევა და იფიქრებს, რომ დამნაშავე ესტერგაზია და არა დრეიფუსიო. გაზ. „Figaro“-ში, მაგალითად, დაბეჭდილია ესტერგაზის წერილები, რომელნიც, თუ მართლა იმას ეკუთვნიან, აშკარად ამტკიცებენ იმის დანაშაულობას. ბევრი გაზეთები კიდევ მოწიწებით და სინანულით იხსენიებს კაპიტან დრეიფუსს და დაწვრილებით აღწერს იმის აწინდელს ყოფა-ცხოვრებას. დრეიფუსი ამ ჟამად დასახლებულია ეშმაკის კუნძულზედ, რომელიც გვიანის მახლობლად ზღვაში მდებარეობს. ეშმაკისა და იმის ახლო-მახლო მდებარე სხვა კუნძულებში წინად კეთროვანთა და გონება შერყეულთ ჰგზავნიდნენ, ხოლო რაც დრეიფუსი დაასახლეს იქ, ისინი სხვა ადგილას გადაიყვანეს. გაზეთების სიტყვით, ეშმაკის კუნძული ცარიელ ფრიალო კლდეს წარმოადგენს, რომელზედაც ერთი ბეწო ბალახი ან სხვა რამ მცენარე არსად მოიპოვება. საშინელისა და აუტანელის სიცხის დროს კაცს არ შეუძლიან ჩრდილი იპოვნოს სადმე, რომ თავი შეაფაროს. დრეიფუსი დამწყვდეულია პატარა, ნახევრად ჩამონგრეულ ქოხში, სადაც ის დარაჯების მეტს ვერავის ვერა ხედავს. ქოხს გარეშემო მაღალი რკინის გალავანი აქვს შემორტყმული, ასე რომ დრეიფუსი თავის ქოხში ისეა გამომწყვდეული, როგორც გალიაში. პირველად დაპატიმრებულს სამი დარაჯი ჰყავნდა მიჩენილი, შემდეგ ექვსი და ეხლა-კი ცხრა. დარაჯებს სასტიკად აქვთ აღკრძალული მასთან ლაპარაკი. გარდა ამისა დრეიფუსს არ შეუძლიან რაიმე საქმე გააკეთოს. ამ ორი სამი წლის განმავლობაში დრეიფუსი საშინლად გათეთრებულა და დაბერებულა. ის თურმე ერთავად თავისის ქოხის ერთს კუთხეში ზის და რაღაც ღრმა ფიქრში გართული შეუწყვეტლივ თუთუნსა სწევს. წერილის გაგზავნა თავის ნათესავებთან მხოლოდ თვეში ერთხელ შეუძლიან. აი, ასეთს მდგომარეობაშია ის კაცი, რომლის შესახებაც დღეს საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთები გაიძახიან, რომ უდანაშაულოდ არის დასჯილიო. ვნახოთ ხელახალი გამოძიება დრეიფუსის საქმის შესახებ, რით გათავდება და რას აღმოაჩენს.

—

**კუნძული კუბა.** ძლივს მოეღო ბოლო კუნძულს კუბაში უთავბოლო სისხლის ღვრას და ამბოხებას. ამიერიდგან კუბის მცხოვრებელნი მშვიდ და წყნარს ცხოვრებას მიეცემიან. ამ დღეებში ისპანიის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ კუბაში თვით მმართველობა იქმნას შემოღებული. კუნძულის უფროსი ისპანიის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი იქმნება, ხოლო იმის საქმეებს განაგებს პარლამენტი, რომელიც ორი პალატისაგან შესდგება — წარმომადგენელთა პალატისა და საადმინისტრაციო საბჭოსაგან. გენერალ-გუბერნატორს უფლება ექმნება დაითხოვოს პარლამენტის სესსია და სა-

---

დააწინაუროს ხალხი, გააფხიზლოს, წელი გაუმაგროს. წლევანდელ მაისის თავად-აზნაურთა კრებამ კომისია ამოირჩია, ერობის პროექტი მიანდო და დაავალა, — ამ შემოდგომის განმავლობაში საქმე გაათავოს, გადაჭრილი სიტყვა სთქვას. კომისიამ უკვე მიჰყო ხელი საქმეს; იმედია, იგი არ დაივიწყებს, თუ რა მნიშვნელობა ექმნება ამ წეს-წყობილების შემოღებას ჩვენის ერის ცხოვრებისათვის და არ აჰყვება იმათ უსაფუძვლო აზრს, ვინც ჰღაღადებდა, ეს საქმე ქართველობისათვის ჯერ ადრეაო, ჯერ კიდევ უსუსურნი ვართო.

ცხადია, ერობა ბევრს დაგვეხმარება. განა ამ საქმეში ცოტას გვიშველიდა ისიც, რომ იმ ნაწილმა საქართველოსამ, საცა რიცხვ-ჭარბი მოსახლეობაა და მიწა წყლის ვიწროობა, ნამეტანი თვისის მოსახლეობისა მიაშველოს იმ ნაწილს ჩვენის ქვეყნისას, საცა მიწა-წყალი ბევრია და მოსახლეობა ცოტა.

იმერეთში მიწა-წყლის ვიწროობა და მკვიდრთა რიცხვის ჭარბობა ახალი ამბავი არ არის. სრულიად რუსეთში ორი ალაგიც არ მოიპოვება ამ მხრივ ისე რიგად შეწუხებული, როგორც იმერეთია. ეს იყო მიზეზი, რომ ხალხი შავი-ზღვის ნაპირებს მიაწყდა. მაგრამ იქ დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდა; ყველას იწვევდნენ, — მობრძანდითო — მოლდავანებს, ბოლგარელებს, სათათრეთიდგან გამოქცეულ სომხებს და ჩვენს ხალხს-კი, მეგრელებს, გზა შეუკრეს. ამ ზაფხულს საჯაროდ ერთ გაზეთში ნათქვამი იყო, მეგრელებს და საზოგადოდ იმერლებს შავი-ზღვის ნაპირებზე ნუ გააწაწანებთო. ბათომიდგან დაწყებული ადლერამდე მთელ შავის ზღვის ნაპირებზე ერთი ხელის დადება ალაგი არ არის, რომლის დაპყრობაში და დაფარვაში იმერლებს, გურულებს, მეგრელებს და ერთობ ქართველებს ღვაწლი არ მიუძღოდეს; ამ საუკუნის განმავლობაში ათში ხუთს ოჯახს მაინც შეუწირავს ამ საქმისათვის ერთ-ერთი თავისი შვილი. ეხლა-კი მუხთალმა დრომ ისე გვიმტყუნა, რომ ჩვენის ერთგულების სიღრმეს და ძლიერებას ჰზომავენ ისეთი კაცები, ვისიც მამაპაპა თავის გომურს, ფარეხს, არ გასცილებია და ქვეყნის სიკეთისათვის სათივეზე სული დაულევია.

მაგრამ რა გაეწყობა! დრონი ჰმეფობენო, იტყვიან.

დროსა შევესწარ ასეთსა,
გულს ცეცხლი გამიალესა,
შინაურებსა კურტანს სდგმენ,
სხვებს აკვრენ ოქროს ნალებსა.

ასეა თუ ისე, ქართლს გაღვიძება ეჭირება, ხალხის დაძინებულს და დადუნებულს სხეულს გაფხიზლება, განახლება, გაძლიერება უნდა რიცხვითა და ქონებით.

ქართლში, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში, ჯერ კიდევ ბევრი თავისუფალი მიწა-წყალია. სახელმწიფო მამულებიც რომ არ ვახსენოთ, მარტო თავად-აზნაურთა საკუთრება დიდძალია. თუ ოსებს, თათრებს, ბერძნებს აბინავებენ თავის მამულებში, თითონაც სარგებლობენ და იმათაც ასარგებლებენ, რატომ უფრო სანატრელი არ უნდა იყოს იმერეთიდან მოწვევა ქართველისა და იმისი დაბინავება, ნამეტნავად იმ ადგილებიდგან, სადაც მიწა-წყლის ვიწროობაა და ჭარბობა მოსახლეობისა. ეს სანატრელი საქმე რომ შესაძლებელია, ამას ამტკიცებს ის, რომ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მამულში, ბორჯომის ხეობაში, გაშენდა რამდენიმე ღონიერი სოფელი იმერეთიდამ გადმოსახლებულთაგან. იმერეთიდამვე გადმოსახლებულებმა ამაზე უფრო უწინ გამოსჭიმეს სოფლები ზემო-ქართლის ზოგიერთ სანაპიროზე.

ამ გზით იქნება, თუ სხვა გზით, საგანი დიდად საზრუნველია და ფიქრსა და მოქმედებას თხოულობს. დროა დავეჩქაროთ, ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ქართველობას საუკეთესო ნაწილი თავისის ქვეყნისა არ დაეკარგოს, ფეხი არ ამოეკვეთოს იმ ადგილიდამ, რომელიაც გულია მისის სამშობლოსი და რომლისათვისაც ორი ათასი წელიწადი სისხლი უღვრია, შეუნახავს და ჩამომავლობისათვის სამკვიდროდ უანდერძნია.

დავიწყებული მწერალი

მის თვის შემდეგ ხელ-ახლა მოიწვიოს ხოლმე. გენერალ-გუბერნატორის გარდა კუნძულში მინისტრთა საბჭოც იქმნება დაწესებული. გენერალ-გუბერნატორი იმავე დროს ჯარის მთავარ-სარდალიც იქნება. პარლამენტის მიერ შემოღებულ კანონებს და ხელშეკრულებებს გუბერნატორი მოიყვანს სისრულეში. სადამოჟნო გადასახადებს პარლამენტი დააწესებს. ისპანიას სადამოჟნო გადასახადის საქმეში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ზოგიერთი უფლება მიეცემა. ამ რიგად დღეიდგან კუბელები თვით განაგებენ თავიანთ საქმეებს.

## ნაკვესი

— საკვირველია, ამბობდა ერთი კაცი: გახშმად თუ კარგად გადავკვრი, ისე მივეგდები ხოლმე სამილედ, როგორც პირუტყვი.

— მაგისი მიზეზი ღვინო არ არისო, — შენიშნა მეგობარმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგეხსენებათ, რომ საზღვარ გარედ მრავალი სხვა და სხვა გვარი მანქანა. სხვათა შორის მრავალი მანქანაა გამართული სხვა და სხვა ნივთების გასასყიდად. მანქანა ჰყიდის შოკოლადს, ტკბილეულს, რკინის გზის ბილეთებს და სხვ. საკმარისია მხოლოდ ამ მანქანაში გაკეთებულ ადგილას კაცმა ჩააგდოს დაწესებული ფული და მანქანა თავისს თავად მისცემს ნივთსა. ზოგიერთი ასეთი მინქანა ჩვენშიაც მოუტანიათ. რაღა თქმა უნდა, რაც უფრო რთული საქმე აქვს გასაკეთებელი ამ მანქანას, იმდენად თვით მანქანაც რთულია და დიდი.

ერთი ამ გვარი მეტად რთული მანქანა არის ქალაქ ბერლინში, პოსტდამის ქუჩაზე. ეს მანქანა წარმოადგენს მთელს დიდს ბუფეტს. ამ ბუფეტში მოსამსახურე სრულებით არ არის. საჭიროა მხოლოდ შესაფერ ადგილას ჩააგდოთ ფული და მანქა თავისს თავად მოგართმევთ, რასაც ინებემთ, ყავას, ჩაის, ღვინოს, თუ საჭმელს. უკეთ რომ ვსთქვათ, ამ ბუფეთში ერთი მანქანა-კი არა, მრავალი მანქანაა. თითოეულთან გამართულია დაზგა. რომელზედაც ჰურჭელი აწყვია. დაზგას ონკანი დასცქერის, აქვე აწერია სახელები სხვა-და-სხვა სასმელისა. კაცი ჩაუვლის მთელს ბუფეტს, ამოარჩევს, რომელი სასმელიც უნდა, ჩააგდებს დანიშნულ ალაგას შესაფერს ლითონის ფულს და ჭიქა იმწამსვე გაივსება სასურველის სასმელით.

ზემოხსენებულ ბუფეტში არის მრავალგვარი სასმელი საუცხოვო ღირსებისა. თვით ბუფეტი მეტად ლამაზი და მოხდენილია. ამიტომ ბერლინელები სიამოვნებით დადიან ამ ბუფეტში და თვით ბუფეტის პატრონი კარგა დიდ ფულს იგებს ამ მანქანების წყალობით. ბუფეტი ცივად ინახავს ყინულში ისეთს სასმელებს, რომელიც ცივი უფრო ესიამოვნება ადამიანს ზაფხულობით, მაგ. ღვინო, ლუდი და სხვ. ჩაი, ყავა, შოკოლადი და სხვა ამგვარი-კი მუდამ ცხელია. რაც შეეხება საჭმელს, ერთს მრგვალ სინზე აწყვია. მსურველი დანიშნულ ალაგს ფულს ჩააგდებს, სინი მოტრიალდება და მოგართმევთ იმ საჭმელს, რომელიცა გნებავთ. ამ გვარად შეგიძლიანთ იყიდოთ მთელი ლორი, შემწვარი ქათამი და სხვ.

## სასამართლოს მატიანე

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა და ბ-ნ პლიუშჩევსკის საქმე.

გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბ-ნ პლიუშჩევსკისა, რომელიც თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს 100,000 მანეთამდე ფულს ედავება. სასამართლოში გამოცხადდნენ თვით ბ-ნი პლიუშჩევსკი და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის რწმუნებული, ნაფიცი ვექილი ი. ა. გუნცაძე.

ი. ა. გუნცაძემ სასამართლოში განაცხადა, რომ ბ-ნ პლიუშჩევსკის მიერ წარმოდგენილი წერილი, რომლის ძალითაც იგი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს ფულს ედავება, ყალბია და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის მამის, თავადის ივანე მუხრან-ბატონის მიერ მიცემული არ არისო.

ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ სთხოვა სასამართლოს, გასინჯეთ ის რწმუნების ქაღალდი, რომელიც თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს მიუცია თავის რწმუნებულის, ი. ა. გუნცაძესათვის, — აქვს ამ უკანასკნელს თუ არა უფლება მინიჭებული, რომ საბუთის სიყალბე განაცხადოსო.

ოლქის სასამართლომ გასინჯა რწმუნების ქაღალდი და აღმოჩნდა, რომ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს ზემოხსენებული უფლება არ გადაუცია ბ-ნ ი. ა. გუნცაძესთვის. მაშინ ოლქის სასამართლომ შესწყვიტა საქმის გარჩევა და სასამართლოში გამოცხადდა თვით თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი, რომელმაც იგივე განუცხადა სასამართლოს, რაც ბ-ნმა ი. ა. გუნცაძემ, ე. ი. ბ-ნ პლიუშჩევსკის მიერ წარმოდგენილი წერილი, რომელიც ვითომ განსვენებულს მამაჩემს მიუცია მისთვის და რომლის ძალითაც ეხლა ფულს მედავება ბ-ნი პლიუშჩევსკი, ყალბია, განსვენებულს მამაჩემს არც დაუწერია ეს წერილი და არც ხელი მოუწერია იმაზედაო; ეგ ყალბი ბ ნ პლიუშჩევსკის შეუდგენიო.

ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა: საჩივარი ბ-ნის პლიუშჩევსკისა დროებით შეჩერებულ იქმნას და თვით საქმე გარდაეცეს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს გამოსაძიებლად.

დაწვრილებით შემდეგ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით, რუსეთის ელჩი, საფრანგეთში განმწესებული, ბარონ მორენ-ჰეიმი დათხოვნილ იქმნა თავისის თანამდებობიდგან, ისე კი, რომ სახლმწიფოს საბჭოს წევრადვე დარჩეს.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ მინისტრთა საბჭომ მოიწონა საბერძნეთ-ოსმალეთის სამშვიდობიანო ხელშეკრულობა და შემდეგ სულთანს წარუდგინა დასამტკიცებლად. სამშვიდობიანო ხელ-შეკრულობაზედ ხელიი მოწერის ამბავი ყველა ვილაიეტს ეცნობა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. კამათი საზღვაო პროექტის შესახებ იმით დაიწყო, რომ საიმპერიო კანცლერმა გამოუცხადა, — მშვიდობიანის პოლიტიკისათვის, რომელსაც გერმანიაა მოწადინებული, გერმანიის ფლოტი ძალას უნდა წარმოადგენდეს, ისეთს ძალას, რომ მეგობრებისა და მტრებისათვისაც მნიშვნელობა ჰქონდესო. სოციალ-დემოკრატნი პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ. კონსერვატორები, ზოგიერთთა გარდა, პროქტს მიემხრნენ. თავისუფალ მოაზრეთა კავშირი იმ აზრისა ყო, რომ ამ თავითვე რამდენისამე წლით ხელ-ფეხი არ შევიკრათო. ის კა გამოურკვეველია, თუ პოლონელები რა აზრისანი იყვნენ.

**რომი.** კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი კნეინა ნინო თავდგირიძისას, ლორთქიფანიძის ასულს, აზნაურს როსტომ მგელაძეს და ბ-ნ გიორგი ჩხაიძეს, რომელთაგან პირველმა რწმუნებულს ჩემდამო ოქონის მაცხოვრის ეკკლესიას შემოსწირა 10 მ., მეორემ 8 მ. ხოლო მესამემ მოაჭედინა სახარება, ღირებული 10 მან.

ბლ. მღ. ს. ჩხაიძე

## განცხადებანი


За готовое и по заказу мужск. платье элегант. покр. выборъ материи предлагаемъ обратиться въ магазинъ Максъ Фридъ Дворц. пр. дома Гр. Двор.

(5—209—1)

Открыта подписка на 1898 г. на еженедѣльный иллюстрированный журналъ

ВОКРУГЪ СВѢТА

14-й годъ изданія

50 иллюстрированныхъ №№ въ годъ. Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр. Кромѣ того безплатно собраніе сочиненій

ЖЮЛЯ ВЕРНА

12 томовъ! лучшихъ романовъ: Путешествіе капитана Гаттераса.— Путешествіе на луну.— Вокругъ луны.— Пять недѣль на воздушномъ шарѣ.— Ледяной сфинксъ.— Страна пушныхъ звѣрей.— Черная Индія.— Южная звѣзда.— Архипелагъ въ огнѣ.— Паровой домъ.

2 роскошныя преміи:

1) Проф. Ю. Клевера „Зимній вечеръ“.

2) Акад. К. В. Лебедева „Отдыхъ на соколиной охотѣ“. Олеографъ въ 28 кр.

— Подписная цѣна —

На годъ: безъ картинъ 4 р., съ двумя картинами 5 р. съ доставкою и пересылкою.

Подписчикамъ — собраніе романовъ Жюля Верна, 12 книгъ, выданныя въ 1897 году, высылается за 2 рубля съ пересылкою.

Адресъ редакціи: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ყვავილთა შორის

მოთხრობა მოხუცის მებაღისა, სურათებით გადმოღებული სალომე შუბათელისმიერ

ფასი 45 კაპ.

და

ამბავი

ცხოველთა სამეფოსი

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ სურათებით თარგმანი გრ. ყიფშიძისა

ფასი 50 კაპ.

(5—უ.—2)



Товарищество Брокаръ и К°. Изобрѣтатели глицериновой пудры. Средство для смягченія кожи, рукъ и лица.

Коробка съ пуховк. 80 к. Коробка безъ пуховки 50 к.

(11—ივ)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. გიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ

НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ“

(XVIII годъ изданія).

Въ 1898 году „Каспій“, въ Баку, ежедневно, будетъ выходить значительно увеличенномъ форматѣ („Русскихъ Вѣдомостей“) по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ, при той же самой подписной цѣнѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой: на 12 мѣс.—7 р., на 11 мѣс —6 р. 50 коп., на 10 мѣс.—6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., 8 мѣс.—5 р., на 7 мѣс.—4 р. 50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р. 50 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—2 р. 50 к., на 2 мѣс.—2 р. и на 1 мѣс.—1 р.

Съ пересылкой: на 12 мѣс.—8 р. 50 к., на 11 мѣс.—7 р. 50 к., на 10 мѣс.- 7 р., на 9 мѣс.—6 р. 50 к., на 8 мѣс.—6 р., на 7 мѣс.—5 р. 50 к., на 6 мѣс.—5 р., на 5 мѣс.—4 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р, на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р. 50 к. и на 1 мѣс.—1 р. 50 коп.

За-границу:

На годъ . . . . 13 руб.

„ полгода . . . 7 „

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля—2 руб. и 15-го марта 2 руб.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ Баку, въ редакцію газеты „Каспій“.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Каспій“ 1898 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году, со дня подписки.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты Армянская улица, домъ Красильникова: въ Тифлисѣ—въ книж. магазинѣ Хидделя у И. К. Словинскаго; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ въ Батумѣ—при книжо-газетномъ агентствѣ М. Николадзе, въ Елисаветполѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; въ Москвѣ—въ конторѣ Мэтцль; въ Н. Новгородѣ—въ Рождественскомъ газетномъ кіоскѣ и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

(3—უ.—1).


Дозволено цензурою, Тифлисъ 25-го Ноября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.